



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია

ბენზინი პრემიუმი - ოქტანობა არანაკლებ 95

2014 წელი, 9 დეკემბერი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2173 განკარგულების საფუძველზე.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015 წელს არანაკლებ 95 ოქტანობის პრემიუმის (შემდგომში - პრემიუმი) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ პრემიუმის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი), ამავე ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ პრემიუმის შესყიდვის შემთხვევებისა.

1.3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) „შემსყიდველად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი - პრემიუმი. შესასყიდი პრემიუმის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 37 654 390 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ექვსას ორმოცდათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლიტრს.

მუხლი 3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

3.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ „მიმწოდებელს“, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფლობს/სარგებლობაში აქვს (მათ შორის ფრენჩაიზინგი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი არანაკლებ 45 ავტოგასამართი სადგურისაგან შემდგარი ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში - საწვავი) საცალო რეალიზაციის ქსელი.

3.3 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5000 (ხუთი ათასი) ლარი; იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, განმეორებით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში

შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს. საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი: სს ბანკი „რესპუბლიკა“

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში: GE52BR0000010591718543

3.4 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) საფასურის გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) გადახდის დანიშნულება - კონსოლიდირებული ტენდერის ტიპი.

3.5 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარადგინოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი ინფორმაცია ამ დოკუმენტაციის 3.2 პუნქტით განსაზღვრული საცალო რეალიზაციის ქსელში შემავალი ავტოგასამართი სადგურებისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ (მისამართების მითითებით), აგრეთვე ამ ავტოგასამართი სადგურების ადგილმდებარეობის გეოგრაფიული რუქა.

3.6 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარადგინოს ცნობები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანებისა და ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ. დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს არაუადრეს 2014 წლის პირველი დეკემბრისა. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან მათი სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ასევე თუ 2015 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია (შემდგომში – სატენდერო კომისია) მიიჩნევს, რომ მითითებულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.7 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი პრემიუმის ჯამური საორიენტაციო ღირებულების 1%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.8 სატენდერო წინადადებების მიღება იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს და მთავრდება 2014 წლის 17 დეკემბერს. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგებს აქვეყნებს სისტემის მეშვეობით.

3.9 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.10 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 ლიტრი პრემიუმის ფასზე.

3.11 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 ლიტრი პრემიუმის საწყისი სავაჭრო ფასია 1.57 ლარი (ერთი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 1 თეთრს (0.01 ლარს).

3.12 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C_{bid} /(R_{nov}*(D/1000)*(100\%+18\%)) – P_{nov}$$

რომელშიც: C_{bid} - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ პრემიუმზე (ლარში); R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი პრემიუმის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული). Z და D სიდიდეები უცვლელია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების განსაზღვრას (შემდგომში - ნომინალური ღირებულება - C_{nom}) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$C_{nom} = R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს; Z და D – 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასსა (P) ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R) დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C_1).

4.4 2015 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი პრემიუმის საბოლოო ფასის (C_{bid}) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლ. პრემიუმის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ რიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი პრემიუმის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C_1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი:

მიმდინარე თვე არის მარტი, საანგარიშო თვე არის თებერვალი, ხოლო საანგარიშო თვის წინა თვე არის იანვარი. შესაბამისად, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში თებერვლის თვეში ერთი ლიტრის საშუალო ფასი იანვრის ანალოგიურ ფასთან მიმართებაში შემცირებულია 10%–ზე მეტით, მაშინ მარტის თვის C_1 უნდა იყოს თებერვლის თვის საშუალო არითმეტიკულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C_2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.6 საანგარიშსწორებო ფასის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში - „აგაი“ სისტემის) ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით პრემიუმის შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ პრემიუმზე. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი პრემიუმის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}).

მაგალითი:

თუ $(C_{AV})-0.15 \geq C_1$, საანგარიშსწორებო ფასი უდრის თვის დასაწყისში დადგენილ სახელშეკრულებო ფასს (C_1), ხოლო თუ $(C_{AV})-0.15 < C_1$, მაშინ საანგარიშსწორებო ფასი უდრის $((C_{AV})-0.15)$ ტოლ სიდიდეს.

ბ) არასაბარათე სისტემით პრემიუმის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საწვავის მოთხოვნის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

4.7 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე და „აგაი“ სისტემის მეშვეობით პრემიუმის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.8 პრემიუმის სითხის სახით ერთ ჯერზე 3000 ლიტრის და მეტის შესყიდვის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, გამოიყენოს სისტემაში არსებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურა. შემსყიდველი ორგანიზაცია ელექტრონულ პროცედურას ატარებს ყოველთვიურად, არანაკლებ ერთი თვის განმავლობაში საჭირო რაოდენობის საწვავზე. ელექტრონული პროცედურისას ერთი ლიტრი პრემიუმის საწყისი სავაჭრო ფასი 5 თეთრით ნაკლები უნდა იყოს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასზე, ხოლო პროცედურის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, ელექტრონული პროცედურის ხელმეორედ ჩატარებისას, ერთი ლიტრი პრემიუმის საწყისი სავაჭრო ფასი ტოლი უნდა იყოს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასისა. ელექტრონული პროცედურის ხელმეორედ უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია პრემიუმს სითხის სახით შეისყიდის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასად. პრემიუმის სითხის სახით შესყიდვის შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯები დაეკისრება მიმწოდებელს, თუ შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მიმწოდებელმა სისტემაში სხვა შესაბამის დოკუმენტებთან ერთად უნდა ატვირთოს პრემიუმის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაციის ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა.

4.9 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი პრემიუმის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C_1), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.10 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე ასევე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2015@spa.gov.ge.

4.11 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.9 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასზე დაყრდნობით.

მუხლი 5. საწვავის შესყიდვის კონტროლი

5.1 გარდა ამ დოკუმენტაციის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, მიმწოდებელი ვალდებულია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ავტოგასამართი სადგურებიდან პრემიუმის მიწოდება განახორციელოს „აგაი“ სისტემის

მეშვეობით. „აგაი“ სისტემა უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის (შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელიც აღჭურვილია „აგაი“ სისტემის კომპონენტებით) საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

5.2 მიმწოდებელმა 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 1-ლი მაისისა, უნდა უზრუნველყოს იმ შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი ავტომანქანების (ავტორიზებული ავტომანქანების) აღჭურვა „აგაი“ სისტემით, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას პრემიუმის მიწოდებაზე.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ პრემიუმის 2015 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული აღმოჩნდა პრემიუმის 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი, რომელსაც 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში უკვე დანერგილი აქვს „აგაი“ სისტემა, ვალდებულია 2015 წლის 1-ლი იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარმოქმნილი მოთხოვნისთანავე, პრემიუმის მიწოდება განახორციელოს 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის მეშვეობით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შესაბამისი განაცხადის მიღების შემდეგ, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში, უსასყიდლოდ აღჭურვოს შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ავტორიზებული ავტომანქანა „აგაი“ სისტემით.

5.5 „აგაი“ სისტემის დამონტაჟებამდე, პრემიუმის მიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების ან ტალონების მეშვეობით. მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ბარათებით ყველა ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას პრემიუმის მიწოდებაზე.

5.6 „აგაი“ სისტემის კომპონენტები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შემსყიდველ ორგანიზაციებს მათ ავტორიზებულ ავტომანქანებზე დამონტაჟების გზით. მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2016 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით. „აგაი“ სისტემის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში ან მიმწოდებლისათვის უკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

5.7 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან (მაგ. გამოყოს უფლებამოსილი

წარმომადგენელი, შეათანხმოს ვადები და ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა, რიგითობა და სხვა საკითხები) „აგაი“ სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის მიზნით.

5.8 გამონაკლის შემთხვევაში („ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროება, შენობა-ნაგებობის გათბობის, უწყვეტი ენერგომომარაგების ან/და დასუფთავების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა, ქირის, იჯარის, თხოვების ან სხვა ფორმით დროებით სარგებლობაში, კერძო მფლობელობაში მყოფი იმ ავტომანქანების საწვავით უზრუნველყოფა, რომლებსაც იყენებენ სამსახურეობრივი დანიშნულებისათვის და სხვა), სატენდერო კომისის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია საწვავის შესყიდვა განხორციელდეს „აგაი“ სისტემის გარეშე. თუ „აგაი“ სისტემის გარეშე შესასყიდი პრემიუმის მოცულობა 2015 წლის განმავლობაში, ჯამურად 3000 ლიტრს აღემატება, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიღების მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობით/ელექტრონულად მიმართავს სატენდერო კომისიას და წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. 2015 წლის განმავლობაში, ჯამურად, „აგაი“ სისტემის გარეშე 3000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის პრემიუმის შესყიდვის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება სატენდერო კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე. შემყიდველი ორგანიზაცია ცნობის სახით, ელექტრონულად ატყობინებს სატენდერო კომისიას ასეთი შესყიდვის შესახებ მას შემდეგ, რაც გააფორმებს შესაბამის შესყიდვის ხელშეკრულებას.

5.9 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა უნდა წარუდგინოს მიმწოდებელს მისი იმ ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა, რომლებშიც უნდა ჩაისხას პრემიუმი, თითოეულზე დაწესებული პრემიუმის ლიმიტები და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები.

5.10 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ პრემიუმის ხელშეკრულებას დანართის სახით უნდა დაურთოს ავტორიზებული ავტომანქანების სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები. ხელშეკრულებაში მითითებული ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

მუხლი 6. საწვავის ხარისხის კონტროლი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2015 წლის განმავლობაში სამჯერ, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში, გაცემული დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ოქტანობა, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, გოგირდის

შემცველობა, ტყვიის შემცველობა, ბენზოლის მოცულობითი წილი, ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის კალიბრი.

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციას ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, რომელმაც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებლისა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს ავტორიზებული ავტომანქანის დაზიანების ფაქტსა და საწვავის ხარისხის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

მუხლი 7. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები, მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

7.1 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ უნდა გაფორმდეს მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გარდა ამ დოკუმენტაციის 1.2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

7.2 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია გააფორმოს პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

7.3 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საწვავის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი პრემიუმის მოცულობა და ხელშეკრულების ღირებულება საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

7.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუფორმოს პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ყველა იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც მიმართავს მას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე და უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ოდენობის საწვავის მიწოდება.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე, ან „აგაი“ სისტემის შემთხვევაში - ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

დ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

ე) უზრუნველყოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ ხელშეკრულების დანართით, გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.7 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) გაუფორმოს ხელშეკრულება მიმწოდებელს პრემიუმის მარკის საწვავის სახელმწიფო შესყიდვაზე.

ბ) ავტომანქანის საწვავით გამართვა განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად.

დ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

ე) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

ვ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

7.8 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.9 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

7.10 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) პრემიუმის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

7.11 სატენდერო დოკუმენტაციის 7.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

7.12 კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე პრემიუმის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 8. პრემიუმის გამარტივებული შესყიდვა

8.1 იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან პრემიუმის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურიდან შემსყიდველი ორგანიზაციის 15 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სხვა მიმწოდებლისაგან ლოკალური აუცილებლობისათვის საჭირო მოცულობის პრემიუმი შეისყიდოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიისადმი მიმართვის გარეშე.

8.2 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ წარუდგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

9.1 მიმწოდებელმა და შესაბამისმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი თვის 10 რიცხვამდე სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ინფორმაცია წინა თვის მოხმარებული საწვავის შესახებ, სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

9.2 სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხზე ხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: oil2015@spa.gov.ge. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.